ქალაქ ქუთაისში, ლექავას ქუჩა N5ბ საცხოვრებელი სახლის N35 ბინის ¾ ნაწილზე, მოქალაქე ნინო ტაბატაძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე ნინო ტაბატაძის განცხადება /2010 წლის 03.12 N1633/, რითაც ითხოვს ბინის ¾ ნაწილზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ლექავას ქუჩა N5ბ საცხოვრებელი სახლის N35 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ლექავას ქუჩა N5ბ საცხოვრებელი სახლის N35 ბინის ¾ ნაწილზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ნინო ტაბატაძეს.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების საქალაქო სამსახურმა /ნ.ჩოგოვაძე/, ქალაქ ქუთაისში, ლექავას ქუჩა N5ბ საცხოვრებელი სახლის N35 ბინის ¾ ნაწილზე /საერთო ფართობი 65,96 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 44,63 კვ.მ, დამხმარე ფართობი 21,33 კვ.მ./, მოქალაქე ნინო ტაბატაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე დ.ანდღულაძემ.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი　　　　　　　　　　　　　　　　　　გ.თევდორაძე